არსებული მცენარეების აღწერა

N	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ.	1.3 მ.		
1	ვაზი (Vitis vinifera)	6.1			საღი/ხილეენარ.
2	ვაზი (Vitis vinifera)	10.2			საღი/ხილეენარ.
3	ბროწეული (Punica granatum)	13.4	7.6	4.0	საღი/ხილეენარ.
4	ვაზი (Vitis vinifera)	7.3			საღი/ხილეენარ.
5	აკაკი (Celtis caucasica)	8-12		4.5	საღი/ხილეენარ.
6	აკაკი (Celtis caucasica)	4-8		3.0	საღი/ხილეენარ.
7	აკაკი (Celtis caucasica)	4-8		3.0	საღი/ხილეენარ.
8	არღაკანი (Cercis siliquastrum)	4-8		3.0	საღი/ხილეენარ.


1
2
3
4
5
6
7
8
2.ძ.ს.
1.ძ.ს.
01.18.09.005.005
390.96
387.31
386.97
384
386
საკადასტრო ხაზი
4613520
4613450
4613511
4613511
4613511

მოსაჭრელი მცენარეების აღწერა

N	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა	აღნიშვნა
		10 სმ.	1.3 მ.			
1	ვაზი (Vitis vinifera)	6.1			საღი/ხილკენარ.	
2	ვაზი (Vitis vinifera)	10.2			საღი/ხილკენარ.	
3	ბროწეული (Punica granatum)	13.4	7.6	4.0	საღი/ხილკენარ.	
4	ვაზი (Vitis vinifera)	7.3			საღი/ხილკენარ.	

მცენარეები, რომლებიც ადგილზე ნარჩუნდება

N	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა	აღნიშვნა
		10 სმ.	1.3 მ.			
5	აკაკი (Celtis caucasica)	8-12		4.5	საღი/ხილკენარ.	
6	აკაკი (Celtis caucasica)	4-8		3.0	საღი/ხილკენარ.	
7	აკაკი (Celtis caucasica)	4-8		3.0	საღი/ხილკენარ.	
8	არღავანი (Cercis siliquastrum)	4-8		3.0	საღი/ხილკენარ.	



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01230861**
თარიღი: **27/03/2023**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01230451127-67
განცხადების თარიღი:	14/02/2023
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.18.09.005.005
მისამართი :	ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 36
მესაკუთრეები :	შპს "საგზაო კრწანისი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	თენგიზი კვანტალიანი
პირადი ნომერი :	60001003040
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი, კორპუსი 4, ბინა 34-35
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ვარლამ გოშხეთელიანი
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	4560.0
მოთხოვნის შინაარსი :	
	ჩვენს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთან დაკავშირებით უკვე გვქონდა გაკეთებული

მოთხოვნის ტექსტი :	განცხადება, რომელზეც მივიღეთ პასუხი, რომ ჩვენი ნაკვეთის განვითარება მოხდეს მიმდებარე ტერიტორიაზე ერთიანი კონცეფციის ფარგლებში. მოგახსენებთ, რომ ჩვენს მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებს ყავს მრავალი მესაკუთრე რის გამოც ვერ ხერხდება ერთიანი განაშენიანება. მოგმართავთ თხოვნით მოგვცეთ ცალკე განვითარების საშუალება ჩვენს ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის შესაბამისად სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად

განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში კრწანისის რაიონში ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე # 36-ში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.18.09.005.005 რომლის ფართობის შეადგენს 984 კვ.მ-ს. საპროექტო ტერიტორიას ორი მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზები, ხოლო დანარჩენ ორ მხარეს კერძო საკუთრებები; მიწის ნაკვეთზე სრულად და მის მიმდებარედ დედაქალაქის გენერალური გეგმით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა2 (სსზ-2); აღსანიშნავია, რომ 50 მეტრის რადიუსში განთავსებულია 11-13 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც დასრულებული და ექსპლუატაციაში მიღებულია. არსებულ გარემოში მკაფიოდ შეინიშნება ქაოტურად განლაგებული პატარა სახლების და მათი მინაშენების ჩანაცვლება მოწესრიგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით და კეთილმოწყობილი ეზოებით. გულუას მოედნიდან მტკვრის სანაპირომდე, თითქმის კილომეტრიან მონაკვეთში გარემო ურბანულად ჯანმრთელად ვითარდება მრავალბინიანი სახლების მიმართულებით, რაც მისასალმებელია ქალაქის ურბანული განვითარების თვალსაზრისით. მოცემული პროექტის მიხედვით ვახტანგ გორგასლის ქუჩის ამ მონაკვეთში შ.პ.ს " საგზაო კრწანისი "-ს ჯგუფის მოსაზრებით მაქსიმალურად ხდება პატარა ზომის მოუწესრიგებლად განვითარებული ნაგებობების ჩანაცვლება მრავალბინიანი და საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციით დატვირთული შენობით. რითაც მოხდება სოციალური თუ ბუნებრივი პირობების ცალსახა გაუმჯობესება. ვინაიდან ვახტანგ გორგასლის ქუჩის ამ მონაკვეთში ნათლად ჩანს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შენობების განთავსება, რასაც არსებული მოთხოვნაც განაპირობებს, ჩვენი წინადადებაც ამ ფუნქციების გადანაწილებაში მდგომარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვითხოვთ გაიცეს სპეც. ნებართვა 90% საცხოვრებელი ფუნქციის, 10%-თან საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციით. შედეგად მივიღებთ მრავალფუნქციურ 10 სართულიან შენობას (აქედან 1 მიწისქვედა), რომლის მიწისპირა და პირველი სართულები ნაწილობრივ დაიტვირთება საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციით. პირველი სართული ნაწილობრივ, ხოლო მე-2 - მე-8 სართულებზე სრულად განთავსდება საცხოვრებელი ბინები. ავტოსადგომები მოეწყობა მიწისქვედა სართულზე სრულად ხოლო მიწისპირა სართულზე ნაწილობრივ. მიწის ნაკვეთის ფართი არის 984 მ2. პროექტის მიხედვით კ1 = 720მ2 = 0.7 ; კ2 = 4560მ2 = 4.6 ; კ3 = 148 მ2 = 0.2 პროექტს მიხედვით დაგეგმილია მიწისქვედა ავტოსადგომის მოწყობა, სადაც განთავსდება 14 ავტომობილი, აქედან 1 შშმ პირთათვის ადაპტირებული. ასევე გათვალისწინებულია 12 ავტოსადგომი მიწისპირა სართულზე. შედეგად მივიღებთ 26 ავტომომილის გასაჩერებელ ადგილს, რაც მოცემულია გეგმებზე. წარმოდგენილი ესკიზით გათვალისწინებულია ადაპტირებული სივრცე შშმ პირთთვის და ასევე სახანძრო უსაფრთოების წესების მოთხოვნები. შედეგად მივიღებთ ჯანსაღ, კეთილმოწყობილ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ სივრცეს, რაც ფუნქციურად ჩაეწერება არსებულ გარემოში.

გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალფუნქციური კომპლექსი
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.18.09.005.005 ფართობი 984.0 კვ.მ.) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქამინი ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები:

გადაწყვეტილების დასაბუთება :	მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0.3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25%-ს; დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება გეგმარებითი კარკასი (გკ) და შუალედური ზონა (შზ). საპროექტო წინადადებით მოთხოვნილია მრავალფუნქციური შენობის განთავსება სადაც საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტება განისაზღვრება 90%-მდე. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 8 ნოემბრის ბ01. 01223122 ბრძანებით საპროექტო მიწის ნაკვეთს უარი ეთქვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემაზე, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის ერთიანი კონცეფციით განვითარების რეკომენდაციით. განმეორებით წარმოდგენილი განსახილველი განცხადებით, დამკვეთი განმარტავს, რომ მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებს ყავს მრავალი მესაკუთრე რის გამოც ვერ ხერხდება ერთიანი განაშენიანება. ამასთან, 50 მეტრის რადიუსში განთავსებულია 11-13 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. არსებულ გარემოში მკაფიოდ შეინიშნება ქაოტურად განლაგებული პატარა სახლების და მათი მინაშენების ჩანაცვლება მოწესრიგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით და კეთილმოწყობილი ეზოებით. გულუას მოედნიდან მტკვრის სანაპირომდე, თითქმის კილომეტრიან მონაკვეთში გარემო ურბანულად ჯანმრთელად ვითარდება მრავალბინიანი სახლების მიმართულებით. შესაბამისად, შ.პ.ს " საგზაო კრწანისი "-ს ჯგუფის მოსაზრებით მაქსიმალურად ხდება პატარა ზომის მოუწესრიგებლად განვითარებული ნაგებობების ჩანაცვლება მრავალბინიანი და საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციით დატვირთული შენობით. რითაც მოხდება სოციალური თუ ბუნებრივი პირობების ცალსახა გაუმჯობესება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ით განსაზღვრულია ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები და ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, მათ შორის არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. N01.18.09.005.005 (ფართობი: 984 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე ფუნქციური ცვლილება ხორციელდება 25%-დან 90%-მდე (სხვაობა 65%) განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართი შეადგენს - 117,6864 კვ.მ-ს. (984x4,6=4526,4; 4526,4x0,65=2942,16; 2942,16x0,04=117,6864). განმცხადებლის მხრიდან დაფიქსირებულია დადებითი პოზიცია მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, ქ. თბილისი მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ფართის შესაბამისი თანხის გადახდის თაობაზე.
	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის;

დასკვნა :	ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. განმეორებით წარმოდგენილი განცხადების დასაბუთების გათვალისწინებით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საცხოვრებელი ფუნქცია-90%), როგორც მრავალფუნქციური შენობის ერთერთი შემადგენელი ნაწილის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა შესაძლებლად მიაჩნია, განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების გათვალისწინებით. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მიმდებარე გარემო, შენობა-ნაგებობების სართულიანობა და მოცულობა, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ეზო, ბავშვთა სათამაშო სივრცეები და სხვა.). ამასთან, დაცულ უნდა იქნეს ფუნქციური ზონის რეგლამენტი, მათ შორის ქალაქმშენებლობითი პარამეტრები, სადაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს, განაშენიანების კოეფიციენტი კ1=0.5-ს, ხოლო განაშენიანების გამწვანების კოეფიციენტი კ3=0.3. ასევე, გათვალისწინებულ იქნეს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 1 მუხლის, მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით დაუშვებელია. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ბრძანება:**ბ01. 01230867**

თარიღი:**27/03/2023**

ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16^1 და 22-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01230451127-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით.

4. დაინტერესებულ პირს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით წარუდგინოს შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01230451127-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

8. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი